წელიწადი მეოთხე. საქართველო უწინარეს ყოვლისა.

თეთრი გიორგი

ძირს რუსეთის ბატონობა! დიდება 26 მაისს! გაუმარჯოს საქართველოს!

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens " THETHRI GUIORGUI "

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret PARIS-XVII^e

ფასი 2 ფრანკი.

პარიზი 26 მაისი. 1929 წ. № 19

26 Mai 1929
№ 19
PARIS

26 მაისი.

მეთორმეტეჯერ გაუთენდა ოცდა ექვსი მაისი, რომელიც ეროვნულ ძალთა აღლუმის ტრადიციულ დღედ გადაიქცა. სხვა ეროვნულ დღეთა შორის მას განსხვავებული მნიშვნელობა მიეცა. თუმცა ის არ არის დატვირთული მრავალ წლოვან ადათებით, როგორც სხვა ეროვნული საზეიმო დღეები. ჩვენი განსაკუთრებული პირობები და ამ დღის განსაკუთრებული შინაარსი უფრო თვალსაჩინოთ ჰყოფს მას და ანსხვავებს დანარჩენ ეროვნულ საზეიმო დღეებიდან.

1918 წლის 26 მაისი ითვლება იმ ახალ სიცოცხლის წყაროს სათავეთ, საიდანაც ქართველმა ერმა კვლავ დაიწყო ანკარა ჩუხჩუხი, თვისი დამოუკიდებელი ისტორიული კვალის დასაჩენათ.

ულმობელმა პირობებმა, ეს მისი ანკარა დინება ნიაღვრით მღვრეცხა და გაავსო რუსული ლექით. ამისთვის განაკერძოვა ქართულმა პატრიოტულმა აზრმა 26 მაისი სხვა ზეიმებიდან და უფრო შეიყვარა იგი.

შეიყვარა იგი, როგორც ცოცხალი ნიშანი საქართველოს მარადიულობის.

ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც შეუძლია ასეთი დღეები წარმოშვას, სადაც ხდება გაერთიანება ეროვნული აზრის. მაგრამ უფრო ბედნიერია ერი, რომელსაც ამ დღის სამსახურისათვის მრავლად შეუძლია აღზარდოს შვილები არ დამშრალი თვისი გონებისა და გრძნობის მაჯისა და სისხლის.

ბევრი კეთილშობილური საქმე ჩაიდინა ამ დღემ ქართველი ხალხის ცხოვრებაში და ბევრსაც მოელის კიდევ მისგან მშობელი ქვეყანა.

მასხარა «მენშევიკური» პარტიიდან წმინდა ეროვნული საფლავები გათხარა. მღვრიე და დაშლილ პატრიოტულ აზრიდან სუფთა და მთლიანი «თეთრი გიორგის» მოძრაობა შექმნა.

და ასე იგანმება ეს დღე წლიდან წლამდე.

ჩვენ «თეთრგიორგელებმა» 26 მაისის პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა, მისივე კარნახით სწორი გზა ავიღეთ: მივაშურეთ რა საქართველოს ისტორიის გზა-ჯვარედინზე ამართულ გმირების ძეგლებს, რომელთა გარშემო უბერავს სიო გამომაფხიზლებელი, სიო საქართველოს მუდმიობისა, რომელიც ყოველთვის მიმართულია თავისუფლებისა და აღორძინებისაკენ.

აქეთ მოდის და გროვდება დღეს ყველა პატრიოტი თავისი აზრით. ამ რიგებს აწყობს დღეს «თეთრი გიორგი» ქმნის რა საფუძველს წინმსვლელობისაკენ.

საქართველოს, რუსულ ბოლშევიკების გადამკიდე, სიცხის ალმური ადის, რომლის ქვეშ იწვის ყოველი სინაზე და სიფაქიზე, იწვის მისი სიცოცხლე.

ნადგურდება სოფლის კორტოხებზე კოხტათ წამოჭიმული კოშკია საყდრები, შემოხიზნული ასწლოვან მუხებით და შემოკრებილი ლამაზი ქართველი ხალხით, თავისი უხსოვარ დროიდან მოდენილი ტრადიციებითა და ზნეჩვეულებით

მის ადგილს იჭერს ტიალზე ამართული ქარხნები მოყბედარი ორატორებით, სისხლიანი დროშებით და გაცოფებული ხალხით.

ქართულ სიტყვა გაზრდილ სწერილოსან «ვით მარგალიტი ობოლი ხელსა-ხელ საგოგმანები»-ს ერევის უშვერი რუსული სიტყვიერება.

ლამობენ აღორძინებულ ქართველი ერის ადგილზე გადატრუსული დიდი ნასახლარი დატოვონ.

ვერ უძლებს ამ ალმურს უფრო ზომიერებას შეჩვეული ორგანიზმი.

ჰა რამ ჭირი საკვირველებაა! თვით სიკვდილში იბადება სიცოცხლე; სიცოცხლე უფრო მკაცრი და გამძლე ბუნების, დამცველი ოცდა ექვსი მაისის.

იმ დროს, როდესაც ორგანოები მოდუნებაში მოიყვანა დამპყრობელებმა, რომელთაც ფესვები მეტად მოკლე ჰქონდათ და კანი სუსტი და დროებითი, ამ დროს იზრდება მცენარე, რომლის ფესვები ისე ღრმადაა, როგორც საქართველოს უხსოვარ ისტორიაში არაქმნილი დღეები, რომლის კანი ისე მკვრივია ვით ქართველი ერი! მისი კავკასიონი და მაღალი ზეცა ეს არის «თეთრი გიორგი».

ამ მოძრაობას უკავია დროშა, რომელსაც აწერია «საქართველო უწინარეს ყოვლისა», სამსახური თავისუფლებას და აღორძინებას. ეს ორი მცნება: თავისუფლება და აღორძინება ისე დაუცილებელია, როგორც თვით ქართველი ერი და მისი სიცოცხლის დღე 26 მაისი.

მწყობრად სდგას «თეთრი გიორგი» ამ მიზნის ქვეშ როგორც ერთ დროს თავისუფალ საქართველოს ზურმუხტ მინდვრებზე მწყობრათ იდგა ქართველი ახალგაზრდობა დროშით და წარწერით: 26 მაისი.

ირ. ოთხმეზური.

ჩვენ ვამბობთ.

დიდება 26 მაისს! ძირს რუსეთი!!

ჩვენ ვამბობთ: რუსის ერი არის ისტორიული მტერი ქართველი ერისა. ამისი დამტკიცება ზედმეტია ჩვენ მოაზროვნე უმრავლესობისათვის ე. ი. იმათთვის ვისაც უყვარს სამშობლო და იცის მისი ისტორია, იმათთვის ვინც ბრმა არ არის და იცის რა ხდება დღეს საქართველოში.

26 მაისი საქართველოს გამარჯვება და რუსეთის დამარცხებაა.

26 მაისი ჩვენთვის დიდებული დღეა. დიდებული დღეა თავისი ღრმა შინაარსით. ეს არის აღნიშვნა ძველი საქართველოს სახელმწიფოს დიდებისა. ეს არის განხორციელება ქართველი ხალხის ნამდვილ სურვილისა ეს არის ანდერძი ქართველ დახოცილ მამამთა გმირებისა და მუდამ ცოცხალი მოწოდება [illegible].

ჩვენ ვამბობთ: 26 მაისი დიდებულია კიდევ მით, რომ იმდენად მძლავრია ხალხის სურვილი, იმდენად ცოცხალია ქართველი ერის ისტორია, რომ იმათ, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდნენ რუსის ბანაში საქართველოს და იმათაც, ვინც უარყოფდნენ სამშობლო ისტორიას და ქადაგებდნენ მამულიშვილთა მკვლელობას, იძულებული გახდნენ შეიცვალონ თავისი წითელი ქურქი ეროვნულ სიძულვილისა და მიიღონ მონაწილეობა 26 მაისის აქტში.

ერთმა ისტორიკოსმა სთქვა: «დიდი უბედურებაა ერისათვის როცა მას მეთაურობენ ისტორიის არ მცოდნე პირები. ასეთი მესვეურნი საშინელ ზიანს აყენებენ ყოველთვის უკან მიმდევარ ხალხსა და მის მომავალ ცხოვრებას».

აღსრულდა!

ჩვენ ვამბობთ: ტირილი, ჩივილი, სინანული და ვაება არ შეეკადრება ახალგაზრდობას. ახალი თაობა არ დასტირის დატყვევებულ სამშობლოს. ახალი თაობა ღირსეულად ასრულებს მამა-პაპათა ანდერძს.

გვესმის სოლომონ ლეონიძის ბრძანება: «ჰქმენით რაც არის საქმნელი; აჩვენეთ ქვეყნას ძალი და ძლიერება თქვენი; აქ გმართებთ გმირობა; დუმილი და სისუსტე აძლიერებს თქვენთა მტერთა».

ჩვენ ვამბობთ: 26 მაისი არის ჩვენთვის ეროვნული დღესასწაული. ეს დღეა მომავალ გამარჯვების. ამ დღიდან იწყება ჩვენი ახალთაობის ხანა.

მაგრამ ჩვენ თვალებს არ დავხუჭავთ და პირდაპირ შევხედავთ სინამდვილეს.

[illegible], არ გვრცხვენოდეს, რომ იმ 26 მაისის დღეს, იმ დიდებულ დღეს ქართველი ერის განთავისუფლებისა არ იყო დაცული ქართველი ერის სიამაყე.

[illegible] არ გვრცხვენოდეს, რომ «დამოუკიდებლობის აქტი» მოწიწებით და კრძალვით შეთხზული არის მკრთალი და დაუმთავრებელი სახე დამარცხებისა, — ეს სნეული ტვინით გადაგვარებულ «ინტელიგენციისა». ამ აქტის ლმობიერმა კილომ შეურაცხყო ხსოვნა ქართველი ერის დამოუკიდებლობის გმირთა.

აღსრულდა.

უცხო მხარეში ეულ საფლავზე წარწერაა: «მომისხენით მე, ძმანო, საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ» უცხო მხარეშივე კიდევ სხვა საფლავებია. ბნელ სამარიდან აღსდგა [illegible] აჩრდილი ალექსანდრე ბატონიშვილისა და [illegible]: «ჰკარ მაგას! ზიზღი მტერს!» ძირს რუსეთი! ვამბობთ ჩვენ.

ახალი თაობა განაგრძობს ქართველი ერის ცოცხალ ისტორიას. ახალი თაობა გულმაგრათ არის ამისა, რომ არ განმეორდეს სამარცხვინო «დამოუკიდებლობის აქტის პარადოქსი», რომელსაც ა. ლეო კერესელიძე ახასიათებს ასე: «ეს პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთნი მთელი საუკუნის განმავლობაში იბრძოდნენ შეუდარებელი სიმამაცით ყველა დარგებში ჩვენს ეროვნულ გამოღვიძებისა: ბრძოლის ველზე, საყდრის, თეატრის, პრესის, პოლიტიკის, მწერლობის საშუალებით დამოუკიდებლობის ნიადაგის მოსამზადებლად და მეორენი მტერნი და მოწინააღმდეგენი ამ დამოუკიდებლობისა დაეპატრონენ მათი ბრძოლის შედეგს — დამოუკიდებლობას, გამოაცხადეს მისი «აქტი» და მოისურვეს მისი დაცვა. და რასაკვირველია ამ პარადოქსმა დაღუპა საქართველო».

ჩვენ ვამბობთ: ბელადების სამშობლო ისტორიის უარყოფამ და უცოდინარობამ დაამარცხა 26 მაისის ქართველი ხალხის გამარჯვება.

ერთმა ისტორიკოსმა სთქვა: «ყოველ შეგნებულ კაცისათვის აუცილებელი საჭიროა მსოფლიო ისტორიასთან ერთად იცოდეს უმთავრესად თავისი სამშობლოს წარსული, რათა კარგად შეიცნოს და შეიყვაროს იგი, არ დაუშვას საზიანო ცხოვრებაში დაუფიქრებელი შეცდომები და გაუკვლიოს სწორი გზა მომავლისაკენ».

ჩვენ ვამბობთ; ნუ თუ ფუჭად ჩაიარა მე 19 საუკუნის ისტორიამ?

1783 წლის ტრაქტატს მოაქვს რუსეთის «ცარის» ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომელსაც მოაქვს: ეგზეკუცია, ისპრავნიკობა, ხალხის ჟლეტა, ოხვრა და ვაება, ტორმასოვები, გოგია და მამუკა ორჯონიკიძეები.

და აი, მე 20 საუკუნეში ჩვენმა ისტორიის უცოდინარებმა დასწერეს სამარცხვინო «დამოუკიდებლობის აქტი», რომელსაც მოაქვს სასაცილო 1920 წ. მენშევიკ—ბოლშევიკური ხელშეკრულება, რომელსაც მოაქვს ჩეკა, [illegible], ხალხის ჟლეტა, ოხვრა და ვაება, პანკრატოვები და სერგო ორჯონიკიძეები.

ჩვენ ვამბობთ: შეადარეთ რუსების ყოფა-ქცევა ჩვენში ასი წლის წინეთ და დღეს და დარწმუნდებით, რომ ქართველი ერის ერთად ერთი მტერი რუსის ერია. მაგრამ მიუხედავათ ამისა დღესაც კიდევ «გუმბერაზი ბელადები» უწოდებენ რუსებს «ტავარიშს» და ციმბირიდან ძლივს გამოქცეულნი მაინც «ტავარიშად» რჩებიან და არც კი გაუგონიათ ბატონიშვილის სიტყვები: «რუსები გულებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მაგათში არ მკვიდრობს, სწორისა და მრუდისა გარჩევა არ იციან, ერთგულის და ორგულის მისაგებელი ციმბირია».—

თავისი «ცრემლიან» მანიფესტის 2 წლის შემდეგ რუსეთის «ცარი» ალექსანდრე აძლევდა ბრძანებას ღენ. ვოლკონსკის: «ისარგებლე ქართველების დაუდგრომლობით, მიმართე იმ საშუალებას, რომელსაც ხშირად ჩაუდენია სასწაული მაგ ქვეყანაში: [illegible] ჯილდო—ფული, ჩინი და ორდენი, დაჰპირდი უფროს კაცებს ჯამაგირს და სხვა ამგვარი ჯილდო—ჯამაგირი დროებით მაინც დაამშვიდებს აღელვებულ ხალხს, დააკარგვინებს ურთიერთ ნდობას და წაჰკიდებს ერთმანეთს.»

იმ დროსვე ციციანოვმა მიანდო აჯანყების ჩაქრობა თავის მოხელეებს, რომელთაც სწერდა: «მახვილით აჰკაფეთ, ლუკმა-ლუკმა ასჩეხეთ და აკუწეთ მამაძაღლები! ნუ დაინდობთ, ნუ შეიბრალებთ მაგ ავაზაკებს და ბარბაროსებს! სახლ-კარი გადაუბუგეთ ცეცხლით! ბრძოლის დროს განდევნეთ ყოველივე აზრი შებრალებისა და შეწყნარებისა».

აი ასეთი იყო ყოველთვის და არის რუსეთის «ტაქტიკა» საქართველოში.

«ჩვენ ძალას არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვევლინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლშვილი მაგ ჩაუყაროთ ჩვენც მაგ შევიდეთ და დავიწვნეთ, ამ ტანჯვას, მათრახით სიკვდილს და ჩვენი ცოლების უწესო საქმით [illegible] ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ».

ასე სჩიოდა ასი წლის წინეთ ქართველი გლეხი და დღესაც მასვე სჩივის.

ჩვენ ვამბობთ: «ჰქმენით რაც არის საქმნელი».

გაიხსოვდეთ, ხსნა ერთად ერთია: საერთო ძალებით საერთო მტრის წინააღმდეგ! გახსოვდეთ, რომ სამშობლო ახალი თაობისაგან ელის ხსნას!

გააძლიერეთ ჩვენი იდეები, გააფართოვეთ მჭიდროდ ჩვენი ორგანიზაციები!

გაუმარჯოს ერთ მთლიან ქართველ პატრიოტთა ორგანიზაციას!

დიდება 26 მაისს! საქართველო უწინარეს ყოვლისა!
ძირს რუსეთი!

გ. საფარელი.

◆

საქართველოს დამოუკიდებლობა.

მთელი საუკუნე დამოუკიდებლობას მოკლებული ხალხი ზნეობრივად ჩამოქვეითდა და ადვილი შესაძლებელი გახდა, რომ რუსებს დაეპყროთ თებერვლის ყინვებში განიარაღებული მენშევიკების მიერ ქართველი ერი.

საქართველო ვერ შეიქმნა დამოუკიდებელი და თავისუფალი. იმ პირობებში კი, შესაძლებელი იყო ქართული დიდება კვლავ აღმდგარიყო და ნალოდინევი ბედნიერება გვღირსებოდა მთელი საუკუნის მონობის შემდეგ.

თუ მეცხრამეტე საუკუნემ მწარე გამოცდილებით გვიანდერძა თავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილი, მაშ რატომ არ გაიმარჯვა საქართველომ და არ დაიცვა დამოუკიდებლობა ისევე ძლიერად, როგორც მას ეტრფოდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის ჯანმრთელი ბუნებიდან გაირიყა ის საზარელი სენი, რომელიც სოციალიზმად მოევლინა ჩვენს ქვეყანას და რამაც შეიტანა უაღრესად დამანგრეველი ელემენტები და დაღუპვის გზაზე დააყენა მებრძოლი ძალა, რუსული გავლენის პირდაპირი.

ხალხი ვერ გრძნობს სინამდვილეს და სჩანს აუჩქარებელი ყოფილა თავისი ბედი თვითვე სჭედოს.

არ ეძინათ ერის პარაზიტებს. გაჩნდნენ სოციალისტები მარქს-ლენინიზმის ლოზუნგებით და აკი ერის სადავე მოხწიეს, რომ პირი ექნათ რუსეთის გაერთიანებულ დემოკრატიისაკენ.

იმ დროს ცხოვრებას ზედ ემჩნეოდა წყლულნი და დაკოდილებანი მეთვრამეტე საუკუნისა და მეორე საუკუნეს ვერ გაეფანტა მათ მიერ მოვლენილი ნაღველი, მწუხარება და სასოწარკვეთილება. ჯერ კიდევ ქართველ ოჯახებში ცოცხალი იყო ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნისა რომელმაც სული დალია 1795 წ. 11-ს სექტემბერს სოღანლუღს, კრწანისის ბაღებთან და წამების სახელოვანი გვირგვინი დაადგა იმ ქვეყნისათვის თავგანწირულ მამულიშვილებს, რომელთაც ფიცი დასდეს სამშობლოსათვის ბრძოლაში, საიდანაც არც ერთი არ გამოსულა ცოცხალი ბრძოლის ველიდგან.

მეცხრამეტე საუკუნემ დააგროვა ერის სულიერების საგანძური, რომ ჟამმა დაჰკრა დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

ჩვენი მტერი ემხობა. რუსეთი რევოლიუციით დაიფუშა. რუსის მეფე ჩაჰკლეს, (როგორც ყოველთვის ხდებოდა მათ ისტორიაში.)

მაგრამ რა მოხდა? მიტოვებული საქართველო იღვიძებს, თვალებს იფშვნეტს; და მერე სად არის გმირული სული ქართველთა!

ღმერთო ჩემო, საქართველო თავისუფალია და ვინ ჰპატრონობს მას! მას ხომ მფარველი ეჭირვება.

ერის სულს მიეცა შვება, მას ტაძარი უნდა კელეპტრებით; უნდა ღვიოდეს ერის გულში სიყვარული სამშობლოსადმი. დაბოლოს ხომ ვეღირსეთ თავისუფალ ქვეყანას!

ქართველ ერს ხელმძღვანელი უნდა, ერის გვირგვინოსანი. ყველა ატირებულია მოულოდნელი სიხარულით, ჯერ გარკვეულა ხალხი თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ. რასაც ვნატრობდით ხომ აღსრულდა!

მაგრამ არა! საქართველო არ ყოფილა თავისუფალი. მენშევიკებმა ეროვნული ძალთა დაშლით ხელში ჩაიგდეს ერის მმართველობა. მერე რა უნდათ ჩვენს ქვეყანაში ამ სოციალისტებს? მრავალ ტანჯულმა საუკუნეებმა მისთვის შეჰქმნეს დიდი ტაძრები, კულტურის სიდიადე და ქართველი ხალხის საამაყო გმირები, რომ აი დალახაკავებულმა სოციალისტებმა დაგვცინონ, ერის სახელი დასცენ და გაანიავონ!

სამი წლის სოციალისტების ბატონობა მთელი საქართველოს წარსულის მასხარად აგდება იყო.

რუსის ხალათებში გადაცმული სოციალ-დემოკრატები, დროშით: მარქსი გაბურძგნილ თმებში რუსის ნიჰილისტობით და პროლეტარიატის მოწოდება იყო მთელი მათი სოციალისტური ნაცოდვილარი განატანჯ ხალხისათვის.

განა საქართველოს დამოუკიდებლობა გარეწარ მარქსისტების გროვით, რომ ასე შეურაცხყვეს ჩვენი სახელი და დიდება?

რუსებმა დღეს უფრო მძლავრად განამტკიცეს ბატონობა ქართველ ხალხზე.

მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ რუსებმა გაჰქლეს საქართველო; და იმდენად მწვავე ხდება ჩვენი ქვეყნის ბედი, რომ სოციალისტების დაცინვა და აბუჩად აგდება ჭირზე ჭირს უმატებს ამ მოვლენას.

ჩვენი ქვეყნის ცოცხალ ისტორიისათვის ძვირფას სიმბოლოდ დარჩა თავისუფლებისათვის ბრძოლისა: ბატონიშვილების ამხედრება რუსების წინააღმდეგ; აჯანყება მთიულეთისა, კახეთისა, იმერეთისა და შემდეგ შეთქმულთა განაჯერი ვარსკვლავებად არიან მიჩნეულნი ამ საუკუნის სიმართლეში.

საქართველოს გმირული სული კვლავ განახლდა მხოლოდ 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში. ერის სასიცოცხლო ძალები ერთად შეიკრა ამ წმინდა დღეს, რომელმაც იმსხვერპლა რჩეული ვაჟკაცნი. თავადი, მღვდელ-[illegible]ერი, ვაჭარი და გლეხი ერთ ქართველსა ქმნიდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. რაინდების წმინდა საფლავები მოგვიწოდებენ: აფხაზის, წულუკიძის, ანდრონიკაშვილის და სხვა მრავალი [illegible] სახელები ამოიწვა ქართველის გულის სიღრმეში.

საქართველოს დამოუკიდებლობა ნაგვირგვინევი იქნება ქართველი ერის ძლევამოსილი ნებით და ძვირფასი ხანა ჩვენი ბრწყინვალე საუკუნის შემომავლება ჩვენს დიდებას.

საქართველო — მეფეთა შემოქმედებაა. მთელი ჩვენი საუკეთესო ხანა განვითარდა სწორედ ამ მდიდარ ეპოქის საფუძველზე, საიდანაც წარმოიშვა ქართველი ხალხის საარაკო გვირგვინოსანნი, გმირები და წმინდანები.

საქართველოს აღდგენა ამ მომავალი რომანტიზმის, განხორციელებაა, რომელიც კავკასიის ძლიერებას შეჰქმნის და ქართული კულტურის კერა კვლავ აინთება აკადემიებსა და ტაძრებში.

საქართველო მაშინ შეიქმნება დამოუკიდებელი, როდესაც პარტიული დაყოფა მოისპობა ჩვენში და ყოველ ქართველს მოიცავს უმაღლესი ეროვნული აღტყინება და უპირველესად ყოვლისა საქართველოს უზენაესობის მაღიარებელი გახდება.

ბეჟ. გიორგაძე.

მაისი.

ოჯახებში ვეტრფი ულამაზეს თვეს მაისისას,
[illegible] ახიბლავს ოცდა-ექვსი, მასთან პირველი!
ვაი იმ ქართველთ, ვაი უცხოთ, ო, ვაი მისას
ვინც კი გამოჩნდა ამ ორ დღეთა ბედის მწირველი.

ვინ მოგვინათლა, რომ პირველი მარქსისტთა დღეა?
არა! ეს დღეა ქართველების. დღე თამარისა;
მისი, ვისშიაც სრულქმნილდება მარადი ტყვეა
ქართველთ დედოფლის, თამარ დიდის, თამარ წყნარისა.

არ ყოფილიყო დღე პირველი, დღეი დიადი,
არც გვაქრებოდა ოცდა-ექვსი ტურფა მაისის,
ვერ ვიხილავდით მანათობელს დიდ განთიადის
და დარჩებოდა საქართველო გულ-განაისრი.

ვაი! ილხინონ ჯოჯოხეთის მოციქულებმა,
ქართველთა სისხლში ამოსვრილი დროშა ატარონ,
აგინონ ერი, ერისაგან გარიყულებმა
და ქუჩა-ქუჩა ისტუნაონ და ისარხარონ.

მდგარ ქუჩებს ზეით, თამარია რომ გადმოგვყურებს
ღიმილს გვიგზავნის მოციქულად კეთილ გაისის
და გვიწოდებს შევფიცოთ, (მშობლიურად ცრემლებს გვაპკურებს)
რომ გავათენებთ უფრო დიად ოც და-ექვს მაისს.

დევნილი.

26 მაისი.

თუ სამშობლოსი კვალად გაქვს ტრფობა,
მისთვის ბრძოლისა კვლავ გაქვს ხალისი,
არ დაივიწყო მტრის ზიზღი, მტრობა
და 26 ჩვენი მაისი.

ამ დღეს შეჰხარის მცხეთა, სიონი
და ბაგრატ დიდის თვით ქუთაისი;
დუდუნით ჰგალობს მტკვარი, რიონი,
რომ 26 არის მაისი.

ქართველი ჩუმად თავჩაღუნული
ჰხედავს ეს დღეა ჯერ მონა სხვისი
და გულში ამბობს ჩაფიქრებული
დღეს 26 არის მაისი.

თვალთ წინა უდგას თეთრი გიორგი,
აქვს მისი რწმენა. იმედი მისი,
იცის ეს არის ხსნა ერთად-ერთი,
რომ დაიბრუნოს თავის მაისი.

კ. დ.

თეთრი გიორგი ან საქართველო უწინარეს ყოვლისა. *

როდესაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეთაურთა ერთ ნაწილს მენშევიკების სამსახურში და, მეორეს [illegible] დარევაში და ლეტარღიულ ძილში ეროვნული დროშა ხელიდან გაუვარდათ, მაშინ ყველამ როდი უყურა მათ გამოფხიზლებას და გამოღვიძებას.

ქართულ ახალგაზრდობის აქტიური ნაწილი მისწვდა ბოროტების მთავარ მიზეზს, ხელთ აიღო ეს დავარდნილი დროშა, მის წინასწარ გამაფხიზლებელი, უაღრეს პასუხისმგებლობის მაჩვენებელი, პატრიოტულ ინტუიციის მიერ ნაკარნახევი გენიალური სიტყვები წააწერა: «საქართველო უწინარეს ყოვლისა».

მან, ახალგაზრდობამ მძიმე შრომისაგან დაღლილ ხელებით ატარა ეს დროშა, იწვალა, იტანჯა, ისიმშილა, ყური არ ათხოვა [illegible] დაცინვას, შეჰქმნა მუდმივი პრესა, კლუბი და ბოლოს ჩამოაყალიბა და დააგვირგვინა მოძრაობა კონფერენციით, ქრისტიანულის სითამამით თავის შრომაზე ღვთის კურთხევას მოუწოდა.

«რა პოლიტიკური პროგრამა აქვს?» კითხულობენ პროგრამებზე დაგლახაკებულნი ინტელიგენტები თვით პატრიოტულ წრეებიდან, ეკითხებიან «თეთრი გიორგი»-ს ორგანიზაციას. არ გსმენიათ და დღესაც არ გსმით, რომ «თეთრი გიორგის» მეტი აქვს, ვინემ პროგრამა; მას აქვს ის, რაც დღემდე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონია, მას აქვს პროგრამათა პროგრამა. მას აქვს გამონახული მთავარი პრინციპი, რომელსაც შეუძლია პროგრამას ყოველგვარი სიბინძურე მოაშოროს. პრინციპი, რომელზედაც სწორედ შეიძლება საღ პოლიტიკურ აზროვნების აგება. ამ პრინციპს ჰქვია «საქართველო უწინარეს ყოვლისა». რას ნიშნავს ეს? მეცნიერულ ენაზე გადატანილი, ეს ნიშნავს პრინციპს სუფთა პატრიოტიზმისას. აი ეს პრინციპი გადისროლა «თეთრი გიორგიმ» ყველა იმ უგუნურებათა საპასუხოდ, რომელიც ქართველ პოლიტიკოსების მიერ იქმნა ჩადენილი, ამით მან ქართველობას გამოფხიზლებისაკენ მოუწოდა. ცნება «სუფთას» მე იმავე მნიშვნელობით ვხმარობ, როგორც ეს ფილოსოფიაშია მიღებული, ამ დარგში კი იგი ნიშნავს ყოველივე რელატიურს (პირობითი), წარმავალს.

სუფთა პატრიოტიზმი — ეს პატრიოტიზმია ყოველივე ბოროტ ვნებათა ღელვისაგან განთავისუფლებული, პატრიოტიზმი იმ სულის დისციპლინაზე აგებული, რომლის უკვდავ წყაროს ქრისტიანული სარწმუნოება წარმოადგენს.

ქართველმა ახალგაზრდობამ იგივე პატრიოტულ ინტუიციით მიხვდა, თუ რა იყო საიდუმლო მიზეზი იმ უბედურების, რომელშიაც დღეს ქართველი ერი იმყოფება. უკანასკნელის ძალა მის ქრისტიანულ რწმენაში იყო. საუკუნეთა განმავლობაში მან ატარა ეს რწმენა, საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანულ ჯვარით ხელში მან თავის მიწაწყალი ურიცხვ მტერთა მომხდურისაგან დაიცვა. ბოლოს მიგნით, თვით ერის გულში ჯოჯოხეთის მოციქულნი გაჩნდნენ, ხელთ წარმართების დროშა აიღეს, მომხიბლავ მეცნიერების ტყავით შემოსილნი, საუკუნეთა განმავლობაში აშენებული ტაძარნი ანგრიეს, ხალხს წარმართების სახარება უკითხეს და უხსნეს, სთესეს შური და მტრობა, ზოოლოგიური კლასიური სიძულვილი; უმახეს ხალხს მიწიერ ღირებულებათა სიტკბოება. ხალხი აჰყვა მათ ანკესზე, ზურგი შეაქცია ქრისტეს ჯვარს გაჰყვა მათ და სასტიკად დაისაჯა.

თეთრი გიორგიმ თაყვანისცა ამ ფეხქვეშ გათელილ ქრისტეს ჯვარს, ამ ჯვრით ხელში ის იბრძვის წამებულ ქართველი ერის თავისუფლებისათვის; იგი მისწვდა ჭეშმარიტებას იმ სიბრძნისას, რომელიც მრავალ საუკუნეების წინათ განათლებულ ევროპიულ საზოგადოებაში იყო გადატყორცნილი.

«ქვეყნის მხსნელი მხოლოდ ქრისტიანული რწმენაა» ქართველ ერის ხსნას თეთრი გიორგი ამ ერის ქრისტიანულ სარწმუნოებისადმი დაბრუნებაში ხედავს და ამიტომაც არიან სწორედ თეთრი გიორგელნი ჯვაროსნები ქრისტიანობის. ისინი მიზნად ისახავენ ქართველ ერის კვლავ დაბრუნებას ქრისტიანობისათვის.

სოციალიზმი, დემოკრატია, ინტერნაციონალიზმი.

რა დამოკიდებულება აქვს «თეთრი გიორგი»-ს ამ ცნებებთან ამ «სამება ერთ-არსებასთან?», რომლითაც ქართველი ინტელიგენციის აზროვნებაა შეპყრობილი? ამაზედ მე მოვახსენებ მკითხველებს, რომ თუმცა მე პირად გარემოებათა გამო «თეთრი გიორგი»-ს ორგანიზაციაში არ ვიმყოფები, მაგრამ მე თანამგრძნობი თეთრი გიორგელი, ვარ მისი ლიტერატურული თანამშრომელი; ამასთანავე მე ვარ სოციალისტი, დემოკრატი, ინტერნაციონალისტი. გაატარეთ, ბატონებო, ეს ცნებანი «თეთრი გიორგის» «სუფთა პატრიოტიზმის პრინციპში», მოამორეთ ისინი ყოველივე სიბინძურეს და თქვენ თამამად შეგიძლიათ «თეთრი გიორგი»-ს შეუერთდეთ, მისი დროშა ატაროთ, დროშა, რომელიც დღეს ერთად ერთი ეროვნული დროშაა.

სოციალიზმი. მე ვიზიარებ სოციალიზმს, რომელიც სახელმწიფოებრივ იდეასთან ორგანიულად არის შეკავშირებული, სოციალიზმი, რომელსაც მხოლოდ მეცნიერების ისეთი ვარსკვლავნი იცავდნენ, როგორც ადოლფ ვაგნერი, ლორენც შტეინი, ლუი ბრენტანო, სახელმწიფო სოციალისტებად წოდებულნი, რომელთაც ქართველ სოციალისტების ღმერთი, სოციალ-ბანდიტიზმის მოციქული, უტიფარი კარლ მარქსი სახელმწიფო მაშენიკებს უწოდებდა.

სოციალიზმი, ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ სიბინძურეს მოშორებული, სიბინძურეს, რომელიც [illegible]! თავის თავს მეცნიერულ სოციალიზმს უწოდებს, ნიშნავს ეროვნულ კოლექტიურ მეურნეობას, მის განვითარების ხელის შეწყობას. ვინც ასეთ სოციალიზმს ღებულობს, მან კარგად იცის ანბანური ჭეშმარიტება, რომ არც ერთ ფორმას კოლექტიურ მეურნეობისას არ შეუძლია ერის ეკონომიური პოტენცია ამოსწუროს მაშასადამე კერძო საკუთრების აუცილებელი საჭიროება გააქარწყლოს. მან იცის აგრეთვე ისიც, თუ რა ტვირთის ტარება შეუძლია ეკონომიურ დარგში ეროვნულ კოლექტივს; ამის გადამწყვეტი უკვე სოციალისტური პროპაგანდისტები და მათი ლოზუნგები კი არ არიან, არამედ კონკრეტიული პირობები და მათი საქმის მცოდნე და მეცნიერების ხალხი.

რომ შესაძლებელია სოციალიზმი სუფთა პატრიოტიზმზე აგებული, ამის საუკეთესო მაგალითი სწორედ საქართველოს ისტორიამ მოგვცა.

1917 წლის მიწურულში ქართველ სოციალ-დემოკრატებს ორიენტაცია გაუცრუვდათ რუსეთის დემოკრატიაზე იძულებულნი გახდნენ საკუთარ გზით ევლოთ და ამიტომ ეგრედ წოდებული ეროვნული ყრილობა მოიწვიეს. გაიგო რა ქართველმა პატრიოტიზმმა სიტყვა «ეროვნული» სოციალ-დემოკრატიულ ბანაკიდან, მან ყრილობაზე ერთი თავისი საუკეთესო წარმომადგენელი გაგზავნა, კოტე აფხაზი. უკანასკნელმა ამ ყრილობაზე ქართველ ერს მრავალ ათეულ წლების განმავლობაში სათავად-აზნაურო ბანკის მიერ დაგროვილი ქონება გადასცა.

რას ფიქრობდა მაშინ აფხაზი! განა მან არ იცოდა, რომ ქართული სახელმწიფო, რომელიც მაშინ წარმოშობის პროცესში იყო, უკვე ქართველ სოციალ-დემოკრატების ჩაუვარდებოდათ ხელში, [illegible] სახეს მიიღებდა, მაშასადამე გადაცემული ქონება განადგურდებოდა!

კოტე აფხაზი მაშინ იმასვე ფიქრობდა, რასაც ფიქრობს მღვდელი, როცა იგი ამბობს: «სად წაიღებს ქარი ვაშლს?» მღვდელი გულისხმობს, რომ ბოლოს და ბოლოს ღორი ვაშლს ხომ უნდა შეჭამოს, ამის შედეგი იქნება ის, რომ ღორს სიმსუქნე მიემატება, მერმე განა ღორი მისი კუთვნილება არ არის?

საქართველოს შემდეგმა ისტორიამ დაგვანახვა, თუ რა საშიშია ღორის [illegible]. ეს ანადგურებს კაპიტალებს, მაშასადამე აცლის ადამიანებს საკვებავ მასალას და საბოლოოდ თვით ღორიც გამოუკვებავი დარჩება. ამიტომ უმჯობესია ღორმა თავის შესაფერი, უფრო იაფი მასალა მიირთვას და მევაშლეობა არ დააბრკოლოს. მაშინ ღორიც იქნება მაძღარი, მაშასადამე [illegible] და ადამიანიც. აი სწორედ ამ მოსაზრებით ვებრძვით იმ მეღორეობას და სიცრუეს, რომელსაც ჩვენში სოციალიზმი ეწოდება.

დემოკრატია. ჩვენ შემთხვევა გვქონდა და გვექნება გავაცნოთ მკითხველებს, თუ რა სიბინძურეს წარმოადგენდა ის, რასაც ჩვენში დემოკრატია ეწოდებოდა და დღესაც ეწოდება. გაატარეთ ეს პრინციპი სუფთა პატრიოტიზმის პრინციპში, გაასუფთავეთ ამ პრინციპით და თქვენ მიიღებთ გარკვეულ ცნებას უმაღლესი სახელმწიფოისას. ეს ცნება კი გიკარნახებთ თქვენ მხარი «თეთრი გიორგი»-ს დაუჭიროთ.

ინტერნაციონალიზმი? ვისაც მეორე და მესამე ინტერნაციონალები სწამს, მისთვის «თეთრი გიორგის» კარები, რასაკვირველია, დახურულია. «თეთრი გიორგი» მტერია სამოქალაქო ომის, მაშასადამე სამოქალაქო ომის პარტიათა ინტერნაციონალების, როგორც არიან მე-2 და მე 3 ინტერნაციონალი.

მაგრამ «თეთრი გიორგი»ს როგორც სუფთა პატრიოტიზმის იდეის მატარებელს სწამს ის ინტერნაციონალი, რომელსაც გამოჩენილმა საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწემ, ბრიანმა, ნაციათა ინტერნაციონალი უწოდა, წინააღმდეგ პარტიათა ინტერნაციონალის. ამ ნაციათა ინტერნაციონალს ხალხთა ლიგა ეწოდება.

ეს ინტერნაციონალი სამოქალაქო ომის მოქადაგე სოციალისტების მიერ კი არ არის შექმნილი, არამედ სახელმწიფოებრივ იდეით განმსჭვალულ პოლიტიკოსების მიერ. ეს ინტერნაციონალი წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან საფეხურს სახელმწიფოებრიობის ბუნებრივ ექსტენსიურ განვითარებისას.*

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ველაპარაკეთ მკითხველს «თეთრი გიორგი»ს სუფთა პატრიოტიზმის პრინციპის მეცნიერულ—ფილოსოფიურ საფუძველზე ახლა კი მოუ[illegible] გულწრფელ პატრიოტებს, ვისაც კი სურვილი აქვს ტანჯულ ქართველ ერს ემსახუროს — ხელი შეუწყოს იმ ეროვნულ დროშის გამაგრებას, რომელსაც თეთრი გიორგელნი ცხოვრებასთან უთანასწორო ბრძოლაში, დასერილ და [illegible] ხელებით ატარებენ.

ვლ. ემუხვარი

---

*ეს წერილი წარმოადგენს უკანასკნელ თავს ავტორის წიგნაკისას, რომელიც «თეთრი გიორგის» სტამბაში იბეჭდება სათაურით: «ნაციონალ-დემოკრატები და ნაციონალ-დემოკრატიული პარტია». რედაქცია.

*სახელმწიფოებრიობის ბუნებრივ ექსტენსიურ განვითარებას ჩვენ ვუწოდებთ ერთა თანამშრომლობის მუდმივ ფორმის შექმნას.

სახელმწიფოებრიობის ინტენსიური განვითარება კი მდგომარეობს კანონმდებლობრივ და მმართველობრივ მოღვაწეობით მოქალაქეთა ქონებრივ და სულიერ ამაღლებას.

Le Gerant : Félix Kaldenbach   IMP. CAVALLIER. 25, RUE DU DÉPART.